ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9724102001**

თარიღი:**11/04/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი N-07

დ. ლენტეხი 10 აპრილი 2024წ.

მიმდინარე წლის 10 აპრილს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევანი ლიპარტელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 15 (თხუთმეტი)წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება 6 (ექვსი) დეპუტატი.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - გოეთეს ინსტიტუტისგან 5000(ხუთი ათასი) ევროს გრანტის მიღების თაობაზე.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

/თანამომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. **2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.**

/მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავ-რე სოსო ავალიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ სხდომის

წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - გოეთეს ინსტიტუტისგან 5000(ხუთი ათასი) ევროს გრანტის მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა სხდომის წევრებს მიაწოდა სრული ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით. საგრანტო კონკურსის სახელი: ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა საქართველოს მუნიციპალიტეტებში.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პერიოდი: ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის განხორციელების ვადა საგრანტო კონკურსის სამუშაო გეგმის თანახმად მოიცავს 2-თვემდე პერიოდს. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადა არის 2024 წლის 18 ივნისი. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის ყველა პროცესი უნდა დასრულდეს საგრანტო პერიოდის დასრულებამდე. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პროცესი: ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის სათანადოდ განხორციელებისთვის: - პროექტის განხორციელების პროცესის შუალედური შეფასების სესიის გამართვა მუნიციპალიტეტის მერიასთან გრანტების მენეჯერის მიერ. - საინფორმაციო წერილი, მომავალი ღონისძიებებისა და ვადების მითითებით, ბენეფიციარს გაეგზავნება ელექტრონულად, ელ-ფოსტით.

პროექტის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს ბენეფიციარისთვის სავალდებულო ძირითად ეტაპებს და მოიცავს ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პროცესს, ასევე ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მეთოდოლოგიის შესახებ სავალდებულო ტრენინგებში მონაწილეობას, განხორციელების პროცესის შუალედური შეფასების სესიას, „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე დასწრებას, საბოლოო ანგარიშის ფორმის და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტის წარდგენას.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს მიაწოდა ნუსხა იმ შენობა - ნაგებობების, რომლებიც შეირჩა ამ პროექტისთვის.

საკრებულოს წევრმა დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ამ ნუსხაში თუ ჩაისმებოდა რცხმელურის ადმინისტრაციული შენობა ან გვიმბრალის საბავშვო ბაღი.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ თუ იქნება შესაძლებლობა აღნიშნულ ნუსხაში ცვლილების შეტანის, აუცილებლად გაითვალისწინებს ამ საკითხს.

ანალოგიური უკმაყოფილება გამოხატა კახა ლიპარტელიანმა, რომ ძალიან ცუდ დღეშია ხოფურის ადმინისტრაციული შენობა.

გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ყველა პროცესზე. შეირჩა ის კულტურის სახლები, სადაც ძალიან ავარიული მდგომარეობაა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ კულტურის სახლები ფაქტიურად ყველა თემში საჭიროებს რეაბილიტაციას. ამ ეტაპზე შეირჩა ხუთი შენობა და მომავალში სხვა ობიექტები იქნება გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - გოეთეს ინსტიტუტისგან 5000(ხუთი ათასი) ევროს გრანტის მიღების თაობაზე.

2.მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწოხების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - მილიონ ორასი ათასი ლარის ასათვისებლად გვჭირდება მზა პროექტები. შემოსულია პროექტები, რომლებიც ლიმიტით არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ საერთო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ამ პროექტების მოწოხება. მომავალში დამატებითი პროექტების მომზადების დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ნანარის და გულიდის საკითხები, სადაც არის ყველაზე რთული სიტუაცია გზებთან დაკავშირებით.

მომხსენებელს შეკითხვები დაუსვეს დეპუტატებმა:

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს „ თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანი - 2021 წელს გულიდის მიმართულებით ადგილობრივი დაფინანსებით გათვალისწინებული იყო ტენდერი(სახიაღვრე არხის გაკეთება, გულიდაში გამაგრებითი კედლის გაკეთება და ასევე კახურაშიც უნდა შესრულებულიყო გარკვეული სამუშაო. შემსრულებელმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ფირმა გაშავდა. შემდეგ მოხდა ამ სამუშაოს

გადაფასება, შესაბამისი თანხა ათვისებული იქნა სხვა მიმართულებით და მაინტერესებს როდის იქნება ეს პროექტი გათვალისწინებული.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი გათვალისწინებული იქნება მთის ფონდის პროექტებში.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - გაღმა ლექსურას აქვს სერიოზული პრობლემა მდინარე ცხენისწყალის ადიდების შემთხვევაში. აუცილებლად უნდა გაკეთდეს ქვაყრილი.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ეს საკითხი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მოწვეული იქნებიან გეოლოგები და შეიძლება სასწრაფოდ დაიგეგმოს შესაბამისი სამუშაო.

დალი ტვილდიანი და კახა ლიპარტელიანი: სოფ მაზაში და სოფ გვიმბრალაში არ არის საცდელი შენობები და მოსახლეობა ითხოვს ამ საკითხის მოგვარებას.

პასუხად აღინიშნა, რომ დაფიქსირდეს შესაბამისი განცხადებები და აღნიშნულ საკითხზე გაიგზავნება შუამდგომლობა საგზაო დეპარტამენტში.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ფურელიანების განცხადება გამაგრებით კედელზე.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი უკვე გათვალისწინებულია.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ბენდელიანმა - მიუხედავად იმისა, რომ მან ორჯერ დააყენა საკითხი სხდომაზე გოგებაშვილის და ხერგიანის ქუჩების არ დასუფთავების გამო, საკითხი მაინც არ მოგვარდა.

პასუხად მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება რეაგირება ამ საკითხზე.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი